პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

12 სექტემბერი
სამშაბათი
1961 წ.
№ 140 (1776)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.



სურათებზე: ზევით — ბ. პოლულიახი, ქვევით — ბ. პოლულიახი შეჯიბრების დროს.

ფოტო ვ. ინწკირველისა.

★



წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობის გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე რამდენჯერმე ასულან საქართველოს მოზარდი სპორტსმენები, მოზრდილთათვის კი იგი დიდხანს რჩებოდა მიუწვდომელ მწვერვალად.

„ნავსი გატყდა“ და ახლახან ოდესაში დამთავრებულ წყალში მხტომელთა შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის სტუდენტმა — 22 წლის ბორის პოლულიახმა.

მისი სპორტული ბიოგრაფია ათი წლის წინ დაიწყო, როცა ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელმა მოცურავემ კოშკურიდან გაბედული ხტომების წყალობით მწვრთნელთა ყურადღება მიიქცია და ინტენსიური ვარჯიშის შედეგად რესპუბლიკური მასშტაბის მქონე სპორტსმენად იქცა.

გეგმაზომიერმა ვარჯიშებმა ჯერ რესპუბლიკის (1953 წელი), ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც (1956 წ.) მოუპოვა მას ჭაბუკთა შორის.

დღითიდღე მზარდი სპორტსმენისათვის ყველაზე იღბლიანი მაინც მიმდინარე წელი აღმოჩნდა. ამ გაზაფხულზე საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო შეხვედრებში მან ყველა (5) შეხვედრა მოიგო და საბჭოთა კავშირში გამარჯვებით დაბრუნებულმა თავის სპორტულ ნადავლს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა ტრადიციულ ტურნირში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებისათვის „კომსომოლსკაია პრავდას“ დაწესებული ჯილდოც მიუმატა.

ძნელი გასავლელი იყო ჩემპიონის ოქროს მედლისკენ მიმავალი გზა მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ახალი სისტემით ტარდებოდა.

ბ. პოლულიახმა უაღრესად დახვეწილი ტექნიკისა და ჩინებული არეკნის წყალობით შეძლო უძლიერეს სპორტსმენთა ჩამოტოვება და ოქროს მედლის მოპოვება. ამ გამარჯვებით სპორტსმენთა ხუმრობა რომ ვიხმაროთ, მან „ორი“ ტიტული მოიგო: ერთი თავისთვის — საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და მეორე — მოსკოველი რ. ბრენერისათვის — „ექს-ჩემპიონისა“.

# სამი ლიდერი




15 გროსმაისტერისა და 5 ოსტატის საერთაშორისო ტურნირი ბლედში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მისი მონაწილეთათვის იუგოსლავიის მოჭადრაკეთა კავშირმა დააწესა რამდენიმე ჯილდო. პირველი ჯილდო, ჟურნალ „ფოლეს“ ცნობით 1500 დოლარია.

ოთხი ტურის შემდეგ პირველ სამ ადგილს ინაწილებენ ე. გელერი (საბჭოთა კავშირი), ამერიკელები რ. ფიშერი, ა. ბისგაიერი, რომელთაც მოიგეს ორ-ორი პარტია და ამდენივე ყაიმით დაამთავრეს. მათ კვალდაკვალ მისდევენ არგენტინელი მ. ნაიდორფი და იუგოსლავიის ჩემპიონი პ. ტრიფუნოვიჩი, რომელთაც 2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. 2,5 ქულა მოაგროვეს მ. ტალმა და ტ. პეტროსიანმა. შეჯიბრების საბჭოთა მონაწილეებიდან ჯერჯერობით უფერული შედეგები აქვს პ. კერესს. მან მოულოდნელი დამარცხება განიცადა ა. ბისგაიერთან, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კ. დარგასთან (გფრ) და მოუგო პ. გერმელს (იუგოსლავია). ერთი პარტია გადადებული აქვს (პარმასთან).

# ორი ნაკრების ორი მატჩი

კარგა ხანია არ დამარცხებულა ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრები. მათ უკანასკნელ პერიოდში არა ერთი გამარჯვება მოიპოვეს ევროპის უძლიერეს გუნდებზე, მაგრამ საბჭოთა ნაკრებთან მატჩისათვის მაინც განსაკუთრებული გულმოდგინებით ემზადებოდნენ. ავსტრიელებმა ძალთა უკანასკნელი შემოწმება მოახდინეს 6 სექტემბერს, როცა ერთმანეთს შეხვდნენ I-II ნაკრები გუნდები. მეორე ნაკრების ფეხბურთელებმა, მართალია, მოედანი გამარჯვებულებმა (5:1) დატოვეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ლაპარაკობს პირველი ნაკრების სისუსტეზე. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებთან შესახვედრად წამოსულ გუნდს 3 ათასამდე ავსტრიელი გულშემატკივარი გამოჰყვა.

პირველი ნაკრები გუნდების მატჩი გაიმართა კვირას, მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე. უკვე მე-7 წუთზე ავსტრიელებმა კარგად ისარგებლეს მეკარე მასლაჩენკოს შეცდომით, თავზე გადაუგდეს ბურთი და გახსნეს ანგარიში. საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელებს, რამდენჯერმე ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა, ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა და დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი.

მეორე ნაკრები გუნდები შაბათს თამაშობდნენ ვენაში, აქაც უპირატესობა ავსტრიელთა მხარეს იყო — 2:1.

# ჩემპიონი საჭადრაკო დაფებთან

თბილისელებს არასოდეს არ უნახავთ მ. ბოტვინიკის თამაში. ამიტომ გასულ შაბათს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზი, სადაც გაიმართა მსოფლიო ჩემპიონის ერთდროული თამაშის სეანსი რვა თბილისელი მოჭადრაკის წინააღმდეგ, აივსო მაყურებლებით. მ. ბოტვინიკს შეხვდნენ ოსტატობის კანდიდატები თ. ლომაია, ა. იზვოზჩიკოვი, გ. ეგიაშვილი, მ. თხელიძე, დ. ჯანოევი, გ. მაჭავარიანი, პირველთანრიგოსანი რ. ჯინჯიხაშვილი და ოსტატი მანანა ტოგონიძე. მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა ოთხ პარტიაში თეთრებით, ამდენივეს შავებით. ბრძოლა ყველა დაფაზე თავიდანვე დაიძაბა. ძველინდური დაცვა აირჩიეს ეგიაშვილმა, მაჭავარიანმა და ჯინჯიხაშვილმა. პირველთან მ. ბოტვინიკმა მიმართა ე. წ. ზემიშის სისტემას, მაგრამ ეგიაშვილმა მოხერხებულად პარტია სიცილიური დაცვის სქემაში გადაიყვანა. მან შეძლო ბრძოლის გამარტივებაც. მაგრამ მ. ბოტვინიკი ინარჩუნებდა ზედმეტ პაიკს, რაც ეტლების დაბოლოებაში გაუფასურდა. ამიტომ ამ პარტიას ყაიმი მიესაჯა. (მისჯაში მონაწილეობდნენ თვით მეტოქეები და ვ. გოგლიძე).

მაჭავარიანმა პაიკი მოიგო, მაგრამ უპირატესობა ვერ გამოიყენა. მ. ბოტვინიკმა ენერგიული ბრძოლით არამცთუ დაიბრუნა პაიკი, არამედ მოიგო კიდეც. ამ პარტიაშიც საჭირო აღმოჩნდა შედეგის ფიქსირება თამაშის დროის ამოწურვის გამო. მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ კონკრეტული მოგება არ ჩანდა. ამიტომ მაჭავარიანი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას (მას წაგება მიესაჯა).

ჯინჯიხაშვილმა თავიდანვე გაცვალა ლაზიერები და ბრძოლა დაბოლოებაში გადავიდა. გარკვეულ

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.).



სურათზე: მ. ბოტვინიკი ერთდროული თამაშის სეანსის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# საიუბილეო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთს 40 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო დღესთან დაკავშირებით პრაღაში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში. ბრაზილიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პრაღის ტურნირი ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ არის, რომ ამ ტურნირს „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს“ უწოდებენ. საბჭოთა კავშირიდან ასპარეზობაში მონაწილეობს მხოლოდ ვაჟთა ნაკრები გუნდი.

საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებს თავისი პირველი შეხვედრა ჰქონდა რუმინეთის ნაკრებთან. მატჩში 4 პარტია გათამაშდა და დამთავრდა საბჭოთა ფრენბურთელთა გამარჯვებით — 3:1 (15:10, 15:2, 10:15, 15:13). მეორე დღეს ჩვენი გუნდი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის II ნაკრებს. აქაც გაიმარჯვეს ჩვენმა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:1. ამ ორ გუნდთან მოგებით საბჭოთა ფრენბურთელებს უკვე გზა ხსნილი აქვთ საპრიზო ადგილებისაკენ.

# ევროპისა და მსოფლიოს რეკორდები

უკრაინის მძლეოსანთა პირველობაზე წარმატებას მიაღწია ათლეტმა ი. კუტენკომ. პირველი დღის შემდეგ (5 სახეობის ჯამში) მას მოგროვილი ჰქონდა 4.292 ქულა. მაღალი შედეგები აჩვენა ი. კუტენკომ მეორე დღესაც. საბოლოო ჯამში მან დააგროვა 8360 ქულა და გააუმჯობესა ევროპისა და საბჭოთა კავშირის რეკორდი. ძველი რეკორდი ეკუთვნოდა მოსკოველ ვ. კუზნეცოვს და უდრიდა 8.357 ქულას.

რუსეთის ფედერაციის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ვორონეჟელმა მ. ლავროვმა შესანიშნავი შედეგი აჩვენა 50 კმ სპორტულ სიარულში. მისი მაჩვენებელი 4:49.08,0 ახალი მსოფლიო რეკორდია. ძველი მიღწევა, რომელიც ეკუთვნოდა გ. კლიმოვს გააუმჯობესდა თითქმის ერთი წუთით.

# სოხუმის ფიცარნაგზე

სოხუმში საწვრთნელ ვარჯიშებს გადიან საბჭოთა კავშირის უძლიერესი ძალოსნები. ამ დღეებში აქ გამართულ შეჯიბრებაზე ქვემძიმე წონის ძალოსანმა როგელმა ვ. სტეფანოვმა ორი ხელით აჰიმა 157,5-კილოგრამიანი შტანგა და გააუმჯობესა ტ. ლომაკინის მსოფლიო რეკორდი.

# ჯილდოს გათამაშება დაიწყო

თბილისში, სანაპიროზე მდებარე აუზში დაიწყო რესპუბლიკის მოცურავეთა შეჯიბრება საქართველოს სპორტკავშირის ჯილდოზე.

ქალთა შორის 100 მ თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვებში ყველაზე კარგი დრო 1.14,7 აჩვენა ქუთაისელმა მ. კოლოვალოვამ, რომელმაც მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება, ფინალში შევიდნენ აგრეთვე ო. ბურია („დინამო“) — 1.16,8, ლ. ბერძენიშვილი („დინამო“) — 1.17,9, ს. კალმიკოვა (სკა) — 1.18,3, ნ. ხუციშვილი („დინამო“) — 1.20,4 და ნ. უსტიანი („განთიადი“) — 1.20,6. აღსანიშნავია, რომ წინასწარ გაცურვებში მონაწილე 13 სპორტსმენიდან ვერცერთმა ვერ შეძლო პირველი თანრიგის შედეგის ჩვენება.

ვაჟთა შორის ამავე სტილით, ამავე დისტანციაზე განაცხადების მიხედვით სტარტზე უნდა გამოსულიყო 18 სპორტსმენი, მაგრამ რატომღაც შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ ა. პრონკო და ვ. სეფიაშვილი (ორივე „შრომითი რეზერვებიდან“) და დინამოელი ი. გიორგობიანი, ხოლო მონაწილეთაგან მხოლოდ ორმა—კორბუკოვმა და ბოგდანოვმა (ორივე თბილისი, სკა) შეძლეს ეჩვენებინათ პირველი თანრიგის შედეგი, პირველის დროა 1.01,0, მეორესი — 1.02,6.

ორი პირველი თანრიგის შედეგი (1.13,0) იქნა ნაჩვენები ვაჟთა მიერ 100 მ ზურგზე ცურვაშიც. პირველ გაცურვაში გამარჯვებულმა ბურევესტნიკელმა ე. ხიმჩიანმა დისტანციის გავლას მოანდომა 1.09,8 და გავიდა ფინალში. ფინალში პირველი ადგილისათვის მისი ძირითადი კონკურენტი იქნება ლოკომოტიველი ა. პისკაროვი—1.12,7, რომელმაც გაიმარჯვა მეორე გაცურვაში. მესამე გაცურვაში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ზ. შილაკაძეს („დინამო“) — 1.15,0.

მონაწილეთა სიმცირის გამო უკვე პირველ დღეს გამოვლინდნენ გამარჯვებულნი ცურვის ორ სახეობაში. ქალთა შორის 6 სპორტსმენი იბრძოდა უძლიერესის სახელისათვის 100 მ ზურგზე ცურვაში. სტარტიდან ერთხანს მხარდამხარ მიდიოდნენ დინამოელები ი. ჩუგუევსკაია, ქ. კონდრინა და ბურევესტნიკელი ა. გუძი. მოსახვევის შემდეგ თანდათან ჩამორჩნენ ჯერ კონდრინა, მერე გუძი—და პირველობა დარჩა ჩუგუევსკაიას— 1.24,4, რომელმაც 2,1 წამით აჯობა ბურევესტნიკელს. სამწუხაროდ, გამარჯვებულის შედეგიც კი არ ცილდება მეორე თანრიგს.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან „დინამოს“ მოცურავეები.

**ო. იველაშვილი**

# ტალღებთან ბრძოლაში

მეექვსე კლასის მოსწავლე ჯ. გოგბერია სოფელ განმუხურის (ზუგდიდის რაიონი) ნაპირზე ბორნიდან საბანაოდ გადახტა მდინარე ენგურში.

ტალღებთან მებრძოლმა ბორისმა თავისი შესაძლებლობანი ვერ გაითვალისწინა და ქანცგამოლეული ბავშვი დინებამ გაიტაცა. ბორანზე მყოფი ქალების კივილზე ნაპირთან მიირბინა ბორისის ამხანაგმა — მეექვსეკლასელმა ზამირა ახალაიამ. იგი ტანისამოსიანად გადაეშვა მდინარეში და გონებადაკარგულ ამხანაგს ხელი სტაცა. ზამირა ცალი ხელით ებრძოდა მდინარეს, მეორეთი კი ბორისი ეკავა.

უჭირდა გოგონას ნაპირთან მიახლოვება, მაგრამ ამხანაგის გადარჩენისათვის ხელი მაინც არ მოუშვია. მდინარისაკენ უკვე გარბოდნენ მოზრდილები, ორი მათგანი — კაკო ჯალაღანია და ბაგრატ ახალაია, სწრაფად გადაეშვნენ წყალში და ბავშვები ნაპირზე გამოიყვანეს.

**ბ. ალშიბაია**



## მშვიდობის ფონდში

სოხუმში დამთავრდა სპორტსაზოგადოებების — „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“ უძლიერეს მოჭიდავეთა ვარჯიში.

6 სექტემბერს საბჭოთა კავშირის უძლიერესმა მოჭიდავეებმა საქართველოსა და აფხაზეთის ჩემპიონებთან (ო. კიკაბიძე, ვ. კვაჭაძე, ზ. ზუხბა, რ. ლეკვეიშვილი. ა. არსენიანი და სხვები) ერთად ჩაატარეს სამატჩო შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში. შემოსული თანხა მოჭიდავეებმა გადასცეს „მშვიდობის ფონდს“.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ქაბუკთა შორის და საქართველოს ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში რ. ლეკვეიშვილმა დაამარცხა ბელორუსიის ჩემპიონი ო. ფედერენკო, პირველთანრიგოსანმა ა. ჩოლოკიანმა 4 წუთსა და 40 წამში ხალიჩას გააკრა ბელორუსელი სპორტის ოსტატი ვ. სურინოვი.

სოხუმელმა მოჭიდავეებმა ზ. ზუხბამ, ვ. კვაჭაძემ და ო. კიკაბიძემ მხოლოდ ქულებით წააგეს შეხვედრები თავიანთ მეტოქეებთან— ი. ზამიატინთან (ლენინგრადი), ა. გაბსატაროვთან (ალმა-ატა) და ნ. აქსიონოვთან (ბელორუსია).

კარგი მომზადება გამოავლინეს სხვა ახალგაზრდა სპორტსმენებმაც.

**ვ. სემიონოვი**

**სურათებზე:** შეხვედრის მომენტები აღნიშნული შეჯიბრებიდან, რომელიც გაიმართა სოხუმის კალათბურთის სტადიონის ტერიტორიაზე.



## უნდა შევავსოთ წიგნის თაროები სპორტული ლიტერატურით!

# მოთხრობა განაწამებ სპორტსმენებზე

1942 წლის შემოდგომაზე, ჰიტლერელ ჯალათთა მიერ დროებით ოკუპირებულ უკრაინის დედაქალაქ კიევში, მოეწყო არნახული მატჩი. ფაშისტმა ყაჩაღებმა აიძულეს ტყვედ მყოფი საბჭოთა ფეხბურთელები შეჯიბრებოდნენ გერმანელთა განთქმულ გუნდს — „ლიუფტვაფეს“. მტერი ვარაუდობდა რომ მწვანე მინდორზე მოწყობილი ეს შერკინება საუკეთესო პროპაგანდისტულ აქტად გამოდგებოდა გერმანელ ფაშისტთა უძლეველობისა და სიძლიერის გამოსაჩენად.

მაგრამ იგი აქაც შეცდა. ფაშისტთა ტყვეობაში ნაწამებმა და ფიზიკურად დაუძლურებულმა საბჭოთა სპორტსმენებმა გამოიჩინეს არნახული მორალური სიმტკიცე და ნებისყოფა. ყოველ მათგანს კარგად ესმოდა რომ „ლიუფტვაფესთან“ შეხვედრა არ იყო ის უბრალო, მეგობრული შეჯიბრი, როგორიც მათ არა ერთხელ ჩაუტარებიათ უცხოეთის გუნდებთან. კიეველი სპორტსმენები კარგად გრძნობდნენ, რომ ფაშისტთა სარდლობის სახელგანთქმული გუნდის „ლიუფტვაფეს“ დამარცხება სიმბოლურად მანიშნებელი იქნებოდა გერმანიის ფაშიზმის დამარცხებისა. იგი ახალ რწმენასა და სიმტკიცეს შეჰმატებდა მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ საბჭოთა მოქალაქეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფ ათასობით ადამიანებს. ამასთან ერთად საბჭოთა ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ მტერი გამარჯვებას არ აპატიებდა და შეიძლებოდა ეს შეჯიბრი საბედისწერო გამხდარიყო.

საბჭოთა სპორტსმენები სტადიონის მწვანე მინდორზე პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით გაულენთილნი გამოვიდნენ და ორთა ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს გამარჯვებას მიჩვეული და ქებით განებივრებული მოწინააღმდეგე. ეს იყო კიეველთათვის გაუგონარი შეჯიბრი, რომელსაც შემდეგში საბჭოთა ადამიანებმა სამართლიანად უწოდეს „სიკვდილის მატჩი“.

გამძვინვარებულმა ფაშისტმა ჯალათებმა ვერ აპატიეს საბჭოთა ფეხბურთელებს თავიანთ სანაქებო გუნდზე გამარჯვება. ბინძურსა და სისხლიან საქმეებს კიდევ ერთი საზარელი დანაშაული დაუმატეს და 1943 წლის 24 თებერვალს წამებისა და ტანჯვის შემდეგ დახვრიტეს შესანიშნავი საბჭოთა სპორტსმენები: ნიკოლოზ ტრუსევიჩი, ივანე კუზმენკო, ალექსეი კლიმენკო და სხვ.

ეს ამაღელვებელი და შემაძრწუნებელი ამბავი დაედო საფუძვლად პ. სევეროვისა და ხალემსკის მხატვრულ ნაწარმოებს — „უკანასკნელი მატჩი“, რომელიც ახლახან ახალგაზრდა ჟურნალისტების ფილიპე მახარაძისა და ვახტანგ გოგოლაშვილის მიერ შესრულებული თარგმანით მიიღო ქართველმა მკითხველმა.

პ. სევეროვისა და ნ. ხალემსკის მოთხრობა „უკანასკნელი მატჩი“ უკვე არა ერთხელ გამოიცა რუსულსა და უკრაინულ ენებზე. მისი ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა უდაოდ მისასალმებელია. ეს მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესოა იმ მცირერიცხოვან ნაწარმოებთა შორის, რაც მიეძღვნა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი ახალგაზრდობის ბრძოლასა და შრომას დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში.

მოთხრობის ავტორებს მიზნად არ დაუსახავთ დოკუმენტური სიზუსტით აესახათ განსაზღვრული ფაქტები და მოვლენები, სრულიად შეუცვლელად გადმოეცათ ცნობილი ფეხბურთელების სახეები. ეს არც იყო საჭირო. ნაწარმოების ავტორებმა ფაქტიური მასალებიდან აიღეს ის ძირითადი და აუცილებელი, რაც მათი აზრით მნიშვნელოვანი იყო მძაფრი სიტუაციებისა და მოვლენების სიმართლითა და ნათლად გადმოსაცემად.

პ. სევეროვისა და ნ. ხალემსკის ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე გასდევს სამშობლოს თავისუფლების, მისი სიყვარულისა და მისთვის თავდადების დიადი გრძნობა. მოთხრობის ავტორები არ ცდილობენ განგებ გაამუქონ ფერები, ისინი არ ღალატობენ სიმართლეს და ნათელი საღებავებით ხატავენ რეალურ მოვლენებსა და სიტუაციებს. ნაწარმოების გმირები, საბჭოთა ფეხბურთელები, პარტიზანი დრიომინი, მოხუცი დარაჯი ევდოკიმე, პატრიოტი ქალი ტანია, ფეხბურთელთა ერთგული და თავგანწირული პატარა მეგობრები კოტკა და ვასკა, დახატულნი არიან კოლორიტულად, შთამბეჭდავად და დიდხანს რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში. ასევე საინტერესოდ დახატული სახეებია ფაშისტი ჯალათი პაულ რადომსკი, რომელსაც წითურ პაულს ეძახიან, ქარაფშუტა და მერყევი ხასიათის ფეხბურთელი კორჟი, სამშობლოს მოღალატე ნელი, ედუარდ კუხარი და სხვ. მკითხველთა ღრმა სიმპატიას იმსახურებს უნგრელი მწვრთნელი იშტვანი და ფრანგი სპორტული კომენტატორი ივ ვილჟიე, რომელსაც მხოლოდ საზარელი მოვლენების შემდეგ აეხილა თვალები: „თუმცა მე მესმის, მკვდრებს ბოდიშები არ სჭირდებათ, მაგრამ ჩვენ, ცოცხლები, მოვალენი ვართ გადავხედოთ განვლილ გზას, რათა ცხოვრების დიდ გზაზე შეცდომები არ გავიმეოროთ“.

ნაწარმოებში ასახული მოვლენები, ბაბი იარის საკონცენტრაციო ბანაკის კოშმარი, სირცაზე და ოკუპირებულ კიევში მგმინავი უდანაშაულო ადამიანების ტრაგედია, მკითხველებს მოაგონებენ ომის საშინელებას და მოუწოდებენ მათ მზადყოფნისაკენ ახალი ომის თავიდან ასაცილებლად. საბჭოთა ადამიანის, სპორტსმენის მაღალ მორალურ და ფიზიკურ თვისებათა განსახიერებაა ნიკოლოზ ტრუსევიჩი, რომელიც ყოველგვარ პირობებში პოულობს სულიერ სიძლიერეს საბჭოთა სპორტსმენის ღირსების დასაცავად. ღრმა ადამიანური გრძნობით, უნაზესი სითბოთი და მეგობრობის კეთილშობილებით არის აღსავსე უმისამართო ბარათი, რომელსაც 1941 წლის ნოემბრის ერთ-ერთ საღამოს წერს ცოლ-შვილს ტ. რუსევიჩი. მეგობრისა და მეგობრობის რაოდენი რწმენაა იმ იმედში, რომ შეიძლება ტრუსევიჩის ცოლ-შვილმა მოასწრო ოდესიდან ევაკუირება და ახლა იმყოფება შორს, „ვთქვათ სტუმრად პაიჭაძესთან“... საბჭოთა ადამიანის ნებისყოფის რაოდენი სიმტკიცე, აზროვნების სინათლე და პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა ჩანს, არაადამიანური ტანჯვის შემდეგ კარცერში ჩაგდებული ტრუსევიჩის ფიქრებში.

„უკანასკნელი მატჩი“ საბრალმდებლო აქტია ფაშისტ ბარბაროსთა მამხილებლად და ამავე დროს გაფრთხილებაა ახალი ომის გამჩაღებელთა მიმართ. ამ წიგნს სიამოვნებით წაიკითხავენ ქართველი მკითხველები და სიამაყითა და მადლიერების გრძნობით მოიგონებენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში ნაწამებ და დაცემულ საბჭოთა სპორტსმენებს.

**ნ. ალანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „კოლმეურნის“ პირველობაზე

აპრილის თვიდან მიმდინარეობს რესპუბლიკის რაიონებში სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ შეჯიბრება ფეხბურთში.

სარაიონო შეჯიბრებებში გამარჯვებულმა გუნდებმა უფლება მიიღეს მონაწილეობა მიეღოთ გათამაშების შემდგომ ეტაპში — ზონალურ ტურნირებში. 32 გუნდი დაყოფილ იქნა 8 ზონად — 4-4 თვითეულში, სადაც თამაშები ჩატარდა წრიული სისტემით.

ზონებში პირველ ადგილზე გამოსულმა 8 გუნდმა შექმნა 2 ქვეჯგუფი და აქ გამარჯვებულები (I-II ადგილები) იბრძოლებენ „კოლმეურნის“ ჩემპიონის გამოსავლინებლად. ფინალურ ჯგუფში გავიდნენ ქობულეთის, ზუგდიდის, ხობისა და გურჯაანის ფეხბურთელები.

**ც. დავითაძე**





**სურათებზე:** მომენტები განვლილი მატჩებიდან. მარცხნივ—თბილისის „დინამოსა“ და მალის რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა. მარჯვნივ — თბილისელთა იერიში მოწინააღმდეგის ფარზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## „ბ“-კლასში

### „მეტალურგი“ (რუსთავი)-„ენერგეტიკი“ (სტალინაბადი) — 2:1

ეს იყო ნამდვილად საინტერესო მატჩი. შეხვედრის უკანასკნელ წუთამდე არ შენელებულა დასაწყისიდან აღებული მაღალი ტემპი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ გამონაკლისს, როცა 53-ე წუთზე მსაჯმა რუსოვმა (ერევანი) სრულიად სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო სტალინაბადელთა კარში. სტუმრებს, რომლებსაც აწყობდა პირველი ნახევრის ანგარიში 1:1, არ სურდათ ქულის დაკარგვა და მთელი კოლექტივით წინ აღუდგნენ მსაჯის გადაწყვეტილებას, რის გამო რამდენიმე წუთით შეჩერდა თამაში.

მაგრამ ეს „გაჯანჯლებული“ 11-მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენა რამიშვილმა. მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს. ორი წუთის შემდეგ ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან ყოჩიაშვილმა. ბოლოს ანთაძემ ორ მცველს შუა გარღვევაზე კარგად გაიყვანა ყოჩიაშვილი, რომელიც მეკარის პირისპირ დარჩა. ამ უკანასკნელმა ფეხებში ჩავარდნით სცადა საფრთხის უვნებელყოფა, მაგრამ ყოჩიაშვილმა დაასწრო, ბურთი თავზე გადაუგდო და ანგარიში გახდა 2:1.

მარცხმა სტუმრები გამოაფხიზლა. მათ უკვე დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ და მთელი გუნდით გადავიდნენ იერიშზე. უკანასკნელი 15 წუთის განმავლობაში ბურთი არ გაცილებია რუსთაველთა ნახევარს, სტალინაბადელებმა 5 კუთხურიც მოაწოდეს, მაგრამ ამაოდ. მეტად ძნელი ბურთები აიღო „მეტალურგის“ მეკარე ადამოვმა, ხოლო ერთხელ მცველმა გალოიანმა თავით გამოიტანა ბურთი ცარიელი კარიდან.

ამრიგად, რუსთავის ფეხბურთელებმა მოიგეს მეტად ძნელი მატჩი და გათამაშების ცხრილში კიდევ ორი ქულა ჩაიწერეს.

**ი. ბურჭულაძე**

### „ტორპედო“ (ქუთაისი)-„ტემპი“ (სუმგაითი) — 2:1

კვირას, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკების II ზონის გუნდებს შორის, ადგილობრივმა „ტორპედომ“ მიიღო სუმგაითის „ტემპი“.

ქუთაისელთა თამაში გაცილებით მეტი სიმწვავე და აგრესიულობა იგრძნობოდა, ნაყოფიერად მუშაობდნენ მინდვრის შუაგულში ნახევარმცველები სარჯველაძე და პეტრიაშვილი, განუწყვეტლივ უტევდა სუმგაითელთა კარს მაჭარაშვილი, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა ლეჟავას.

32-ე წუთზე, როცა გომელაურმა ჩამოაწოდა კუთხური, მსაჯს თ. ხურუმს (კრასნოდარი) მხედველობიდან არ გამორჩენია ცენტრალური მცველის აზიევის უხეშობა, რომელმაც ხელით დაიჭირა ჯ. ხაჟალია და სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. იგი კარგად გამოიყენა სორდიამ.

კიდევ უფრო მწვავე იერიშით დაიწყო მეორე ტაიმი. უკვე მესამე წუთზე ტ. რზაევმა ისარგებლა ქუთაისელი მცველების შეცდომით და ანგარიში გაათანაბრა. მიღებული გოლის შემდეგ კვლავ ამოქმედდა ტორპედოელთა მარცხენა ფრთა, მე-11 წუთზე მაჭარაშვილმა მოიგო ბრძოლა მოწინააღმდეგის მცველებთან და მიაწოდა ცენტრში. ლეჟავამ თავური დარტყმით შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი კარში — 2:1.

# თანაკლუბელთა შეხვედრა

გასულ შაბათს, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა ჩაატარეს მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოსკოვის „დინამოსთან“. ეს იყო ჩვენი გუნდის უკანასკნელი შეხვედრა ლენინგრადში გამგზავრების წინ. და უნდა ითქვას, რომ თბილისის დინამოელებმა კიდევ ერთხელ გააწბილეს თავიანთი გულშემატკივრები.

მოსკოვის „დინამოს“ დამარცხება არაა იოლი საქმე. ამ გუნდმა სულ ცოტა ხნის წინ მოუგო მატჩი საკავშირო ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს, დედაქალაქის არმიელებს. თბილისელებს სასაყვედურო ის აქვთ, რომ დაკარგეს თამაშის მათთვის დამახასიათებელი სტილი და მიიღეს ჩვეულებრივი, შაბლონური გუნდის სახე.

დღეს „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ რიგით გუნდად გადაიქცა და სწორედ ეს ფაქტი აღელვებს მაყურებლებს. სხვა მხრივ მოსკოვის „დინამოსთან“ გამარჯვება თუნდაც ორი ქულით, უდავოდ წარმატებაა.

რას წარმოადგენს მოსკოვის „დინამო“? იგი პირველ რიგში ა. პეტროვი და ი. კორნეევია. პეტროვი შესანიშნავ ფიზიკურ მონაცემებთან ერთად, მეტად მოძრავი და შედეგიანი თავდამსხმელია. ი. კორნეევი კი გუნდის სული და გული, მისი ნებისყოფა და სიმტკიცეა. არა გვგონია, რომ საკავშირო ჩემპიონატში გამოდიოდეს, ქულისათვის ასე მოწყურებული, მეორე მოთამაშე. კორნეევი არის მოწინააღმდეგის კალათისაკენ შეუკავებელი სწრაფვა და სწორედ ამით მოხიბლა მან თბილისელი მაყურებელი.

მაგრამ „დინამო“ მარტო ეს ორი მოთამაშე როდია. აქ არიან შესანიშნავი სნაიპერები ხრინინი და სტუდენეცკი. აქაა დაუღალავი და ეშმაკი ტორბანი. „დინამოს“ ძალა იმ ხუთეულშია, რომლითაც დაიწყო მან მატჩი ჩვენი გუნდის წინააღმდეგ.

პირველი ნახევარი ჩვენ წავაგეთ 5 ქულით (27:32). ეს იყო ოცწუთიანი ბრძოლის კანონზომიერი შედეგი. უკეთესზე ფიქრიც კი არ შეგვეძლო, რადგან მოსკოველები გვჯობდნენ ყველა რგოლში. პეტროვმა დასჯაბნა ლეჟავა, კორნეევმა — მოსეშვილი, ხრინინმა — კილაძე. სხვებზე უკეთ უმკლავდებოდა „თავის მოთამაშეს“ (სტუდენეცკის) მინაშვილი, მაგრამ იგი უმეტესად დაცვაში იყო და მხოლოდ დაცვით, თამაშს რა თქმა უნდა, ვერ მოიგებ.

შეხვედრის მეორე ნახევარში მოხდა ორი შეცვლა, რამაც უდავოდ გადაწყვიტა თამაშის ბედი. მოსეშვილის ადგილი მოედანზე დაიკავა ხაზარაძემ, ხოლო კილაძისა — ინწკირველმა. ამ უკანასკნელმა ჩვენი გუნდის თამაში გამოაცოცხლა, უფრო აზრიანი და კომბინაციური გახადა, ხაზარაძემ კი გუნდის წევრებს დაუბრუნა რწმენა და ბრძოლისუნარიანობა. თბილისელთა თამაში თითქოს ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. სულ მალე მოედანი დასტოვა პეტროვმა, მისი შემცვლელი ნაუმცევი რა თქმა უნდა, ისეთი საშიში უკვე აღარ იყო. თამაში ნელ-ნელა თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყდა. არ ნებდებოდა მხოლოდ კორნეევი, რომელმაც 15-წუთიანი ბრძოლის სიმძაფრე (პეტროვის გასვლის შემდეგ) თავის კისერზე გადაიტანა. გათამაშდა ალტაბაევი, ბოლოს და ბოლოს თავისი ადგილი იპოვა ლეჟავამ და ბურთმაც უფრო ხშირად დაიწყო მისკენ მოგზაურობა.

28-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 42:42. და როდესაც საბოლოო წარმატება თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყო, თბილისელებმა დათმეს პოზიციები. ორ მომდევნო წუთში ჩვენმა გუნდმა ორი ქულა აიღო, მოსკოვის „დინამომ“ კი — 10. თბილისელებს ხელახლა დასჭირდათ ბრძოლა გამარჯვებისათვის და ამაზე ზუსტად 6 წუთი წავიდა. თამაშის მიწურულში ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში — 56:56, და ბოლოს დაწინაურდა კიდეც. მოსკოვის „დინამო“, რომელიც 36 წუთის მანძილზე იგებდა შეხვედრას, წაგების აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. დარჩენილმა 4-მა წუთმა საბოლოოდ შეცვალა თამაშის ხასიათი და თბილისელებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 68:66.

**ნ. ახვლედიანი**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 სექტემბრისათვის

ვაჟები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა მოსკოვი | 11 | 10 | 1 | 10 |
| სკა რიგა | 12 | 8 | 4 | 8 |
| „დინამო“ მოსკოვი | 13 | 8 | 5 | 8 |
| „დინამო“ თბილისი | 11 | 7 | 4 | 7 |
| სკიფი კიევი | 10 | 6 | 4 | 6 |
| „ბურ“. ლდ. | 11 | 3 | 8 | 3 |
| „ჟალგირისი“ კნ. | 12 | 2 | 10 | 2 |
| „სპარტაკი“ ლდ. | 10 | 1 | 9 | 1 |

**რიგა. 10 სექტემბერი.** აქ გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი არმიელები და კიევის სკიფი. მატჩი მოიგო რიგის გუნდმა — 70:58.

### „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„ხიმიკი“ (მოგილიოვი) — 4:3

ამ მატჩში თბილისელთა გუნდის ხელმძღვანელობამ მოედანზე ცენტრალურ თავდამსხმელად პირველად გამოიყვანა რ. შავდია, რომელიც ადრე ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში თამაშობდა. დებიუტმა გაამართლა. იგი არაფერში ჩამორჩებოდა თავის გამოცდილ პარტნიორებს და ზოგჯერ სჯობდა კიდეც მათ. ამ ფეხბურთელს ადგილების შერჩევის კარგი ალღო აქვს და კომბინაციური თამაშის უნარი, რაც ალბათ კიდევ უფრო იჩენს თავს მომდევნო მატჩებში.

სწორედ შავდიამ გახსნა ანგარიში მე-4 წუთზე. პირველი ბურთის შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა თბილისელთა მხარეს გადმოვიდა. მაგრამ თავდამსხმელები დროულად არ გადიოდნენ გადამწყვეტი დარტყმებისათვის, ხოლო ურთქმელიძე განსაკუთრებით სუსტად თამაშობდა ამ დღეს. თბილისელთა იერიშებს სიმწვავე და მიზანდასახულობა მიეცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხიმიკელმა გრემიაკინმა (№ 9) კარგად ისარგებლა უსტაბაშიძის შეცდომით და ანგარიში გაათანაბრა. სამი წუთის შემდეგ თბილისელმა აპრესიანმა კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე ანგარიში კვლავ გათანაბრდა.

თამაშის განახლების შედეგად თბილისელებს გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოიყენეს იგი და ორჯერვე მათი ავტორები ისევ შავდია და აპრესიანი იყვნენ. სტუმრებმა, რომლებიც გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე იმყოფებიან, აშკარა დამარცხების წინაშე დადგნენ და შეეცადნენ გარდაქმნა შეეტანათ შეხვედრაში. მათ მხოლოდ ერთი გოლის გატანა (11-მეტრიანიდან) შეძლეს და დამარცხდნენ — 3:4.

მართალია, თბილისის „ლოკომოტივმა“ მეტად საჭირო ორი ქულა მიიღო და პირველ ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ „ა“ კლასში გადასვლის პრეტენდენტს მეტი მოეთხოვება მით უმეტეს, წინ აქვს მეტად საპასუხისმგებლო მატჩები, მათ შორის ძირითად კონკურენტთან — ლენინაკანის „შირაქთან“.

### „რიწა“ (სოხუმი)-„სპარტაკი“ (ბრესტი) — 2:0

მატჩის დაწყებიდან წამზომის ისარს ერთი წრეც არ ჰქონდა შემოვლილი, რომ სტუმრებმა ძლივს შეძლეს ბურთის კუთხურზე მოგერიება. გრამატიკოპულოს მიერ მოწოდებულ კუთხურს მიუსწრო ჩიხლაძემ და ბურთი თავით გაგზავნა კარში. ბრესტელთა მეკარემ წერეთელმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია იგი. აქ ბურთს ყველაზე ადრე დაეუფლა შუამარბი შენგელია და გახსნა ანგარიში — 1:0.

მთელი მატჩის მსვლელობას აშკარად ეტყობოდა „რიწის“ გუნდში წამყვანი ფეხბურთელების—ზარდახიას, კურტანიძისა და ჰინჯალის არყოფნა, ხოლო შესვენების შემდეგ მოედანზე არ გამოსულა გრამატიკოპულოც, რომელმაც აქტიურად ჩაატარა პირველი ტაიმი. გუნდის ამგვარად შესუსტების მიუხედავად მასპინძლები ყოველი ბურთისათვის იბრძოდნენ თავგამოდებით და აღწევდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, რის გამო „სპარტაკის“ ფეხბურთელები უფრო დაცვაზე ფიქრობდნენ, ვიდრე მასპინძელთა კარის აღებაზე.

მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე განმეორდა მატჩის დასაწყისი. კუთხურიდან ფიფიას მიერ ჩამოწოდებული ბურთი ჩიხლაძემ თავით გაიტანა სტუმრების კარში — 2:0.

ამ მოგებით სოხუმელმა ფეხბურთელებმა აიღეს რევანში პირველ წრეში დამარცხებისათვის.

**ზ. გვილავა**

# ჩემპიონი საჭადრაკო დაფებთან

(გაგრძელება)

მომენტში ბოტვინიკს ჩინებულად მიჰყავდა პარტია. მაგრამ როცა მან გაათრა პაიკები მეფის ფრთაზე, თბილისელმა აქტიური თამაშით გაანეიტრალა მსოფლიო ჩემპიონის ორი კუს უპირატესობა და პაიკიც მოიგო.

— აქ მისასჯელი არაფერია, — თქვა ბოტვინიკმა. — წაგებული მაქვს და ვნებდები.

დამარცხდა ლომაია, ეს პარტია მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობით.

ასეთსავე შედეგს მიაღწია ბოტვინიკმა შავებით. იზვოზჩიკოვთან კარო-კანის დაცვაში მან საინტერესოდ გაალღვივა მცირე, მაგრამ სტრატეგიული უპირატესობა. ყოველი სვლით იგრძნობოდა ბოტვინიკის „სულთამხუთავი“ მანევრების ძალა. პარტიის ფინალში მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო ორი ფიგურა ეტლში.. იზვოზჩიკოვი დანებდა.

ინგლისურ დაცვაში ტოგონიძეს არც ერთი „ცოცხალი“ სვლა არ გაუკეთებია. ბოტვინიკმა გატარა ყველა მანევრი, რაც კი განიზრახა. ბოლოს საშამათო ქსელში გაება ოსტატის მეფე.

— რასაკვირველია, მე უკეთესი წარმოდგენისა ვარ ტოგონიძის თამაშზე, — განაცხადა პარტიის შემდეგ მ. ბოტვინიკმა, — იგი გაუბედავად თამაშობდა. ალბათ, ჩემი ტიტულის შეეშინდა.

მსოფლიო ჩემპიონმა შეაქო ჯანოევი, რომელმაც ფრანგულ დაცვაში ახალი გაგრძელება გამოიყენა და იგი უცნობი პრობლემის გადაწყვეტის წინაშე დააყენა. ბოტვინიკმა ეს პრობლემები დახძლია და უკეთესი პოზიციაც მიიღო. მაგრამ შემდეგ ნაჩქარევად დაუშვა ფიგურების გაცვლა, რასაც ყაიმი მოჰყვა.

უნივერსიტეტის ჩემპიონმა თხელიძემ სიცილიურ დაცვაში საკუთარი გაგრძელება გამოიყენა. ბოტვინიკმა ვერ მონახა კარგი გეგმა და თამაში სტუდენტისათვის უკეთეს მდგომარეობაში წარიმართა.

— მე რამდენიმე შეცდომა დავუშვი, რაც დამაჯერებლად გამოიყენა თხელიძემ და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია, — თქვა ბოტვინიკმა.

5:3 — ასეთია ერთდროული თამაშის სეანსის შედეგი მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

თ. გიორგაძე



მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი ერთდროული თამაშის სეანსის დროს.

მეგობრული შარჟი გ. დოლიძისა.

## ყოველი ქვეყნიდან

ვენა. გაიმართა შეჯიბრება „გრან-პრი თასზე“ [illegible] პირველი ადგილი დაიკავა საფრანგეთის გუნდმა, რომელმაც გაასწრო ესპანეთის, იტალიისა და ბელგიის გუნდებს.

ჰავანა. კუბის სპორტული კავშირის მიწვევით მიმდინარე წლის ოქტომბრიდან ჰავანაში რამდენიმე თვეს დარჩება ცნობილი ჩეხოსლოვაკელი გროსმაისტერი ლ. პახმანი, რომელიც აქ წაიკითხავს ლექციებს და მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივ ტურნირებში. პახმანი მოამზადებს კუბელ მოჭადრაკეთა გუნდს XV საჭადრაკო ოლიმპიადისათვის, რომელიც მომავალ წელს ბულგარეთში უნდა გაიმართოს.

სპლიტი. აქ გაიმართა საინტერესო ტურნირი იუგოსლავიის ოთხ უძლიერეს საკლუბო გუნდს შორის ფეხბურთში. პირველი ადგილი დაიკავა იუგოსლავიის ჩემპიონმა „პარტიზანმა“, რომელმაც ჩამოიტოვა „ჰაიდუკი“, „ცრვენა ზვეზდა“ და ზაგრების „დინამო“.

ციურიხი. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და ევროპის ფეხბურთის ფედერაციამ უარყვეს ურუგვაის და პორტუგალიის ეროვნული ფედერაციების მოთხოვნა— მიენიჭოს მსოფლიოში უძლიერესი საკლუბო გუნდის წოდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „ბენფიკასა“ და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელ „პენაროლის“ შორის გამარჯვებულს.

---

ამას წინათ კოკის სახელი კვლავ გამოჩნდა სპორტული გაზეთების ფურცლებზე. მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი დათანხმდა მონაწილეობა მიეღო ძალზე საშიშ გაცურვაში კუნძულ აბსეკონის (ატლანტიკსიტი) გარშემო. კოკთან ერთად სტარტზე გამოვიდა მისი საქმრო ჰოლანდიელი ჰერმან ვილემსე. რამ აიძულა კოკი და მისი საქმრო 40 კილომეტრის მანძილზე ებრძოლათ ატლანტიკის ოკეანის ტალღებთან. რასაკვირველია, ფულმა. გაცურვაში გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო დიდი ჯილდოები, რომელთა მოპოვებით კოკსა და ვილემსეს შეეძლოთ დაქორწინებულიყვნენ. უნდა ითქვას, რომ შეყვარებულ წყვილს ბედმა გაუღიმა. გაიმარჯვა ვილემსემ, რომელმაც მანძილი დაფარა 11:14.30. მან მიიღო 5.000 დოლარი, ხოლო მერიმ ძლივს დაამთავრა დისტანცია, თუმცა იგი მესამე იყო. ყოფილ მსოფლიო რეკორდსმენს 700 დოლარი გადაუხადეს, უპასუხა რა რეპორტიორთა შეკითხვებზე, მერიმ განაცხადა, რომ უსახსრობა რომ არა, იგი არაფრით არ დათანხმდებოდა „ატლანტიკის ოკეანის ასეთ საშიშ ხუმრობაში“ მიეღო მონაწილეობა.

# უნგრეთის ჩემპიონატი სტარტზე

უკვე ერთი თვეა ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს უნგრეთის 1961-1962 წლების ჩემპიონატში, რომელშიც 14 გუნდი მონაწილეობს. უკვე გათამაშებულია 4 ტური. სტარტზე მარცხი განიცადა ჩემპიონმა „ვაშაშმა“, რომელიც ამჟამად მხოლოდ მე-7 ადგილზეა. 6-6 ქულით ერთმანეთს ლიდერობას ეცილებიან „ჰონვედი“, „ფერენცვაროში“ (ორივე ბუდაპეშტიდან) და პროვინციული „ტატაბანია“. „ჰონვედი“, რომელიც წლების მანძილზე მარცხს მარცხზე განიცდიდა, ამჟამად შესამჩნევად გაახალგაზრდავებულა. ამასთან წელს კარგად თამაშობს მისი ერთადერთი ვეტერანიც — წინათ მსოფლიოში უძლიერესად მიჩნეული ნახევარმცველი და ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი იოჟეფ ბოჟიკი, რომელიც უკანასკნელ წლებში გამოდის მისთვის ახალ როლში — თამაშობს თავდამსხმელად უკანასკნელ კალენდარულ მატჩში ბოჟიკმა გაიტანა ორი ბურთი და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. „ფერენცვაროშმა“, რომელიც ერთპიროვნული ლიდერი იყო, მეოთხე ტურში თავის მოედანზე ვერ მოუგო (2:2) მეორე ლიგიდან გადმოსულ „კომლოს“. ამასთან განსაკუთრებით ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს ეროვნული ნაკრების ცენტრფორვარდმა ალბერტმა და რაკოშიმ (№ 10). ამ გუნდიდან მიმომხილველები აღნიშნავენ მხოლოდ ოროზსა (№ 8) და ფენვეშის (№ 11). შეჯიბრების მესამე ლიდერს „ტატაბანიას“ თავის რიგებში არ ჰყავს „ვარსკვლავები“ (მეკარე გროშიჩის გარდა), მაგრამ გუნდი გამოირჩევა დიდი შეუპოვრობით.

საყურადღებოა, რომ უნგრელი მწვრთნელები მეტად მკაცრ შეფასებას აძლევენ ფეხბურთელთა თამაშს. მეოთხე ტურის დროს არ დაწერილა არც ერთი ხუთიანი. ნიშანი „2“ კი მიიღეს ისეთმა ცნობილმა მოთამაშეებმა, როგორნიც არიან ალბერტი, რაკოში, ლენკეი („დოჟა“) და სხვები.

## ფეხბურთის ქრონიკა

ამ დღეებში შედგა რამდენიმე მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში.

ლუქსემბურგში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ხამორა“ და დანიის ჩემპიონი „ოდენზეე“. დანიელებმა აბსოლუტური უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0.

* * *

ჟენევაში, შვეიცარიის ჩემპიონ „სერვეტთან“ თამაშობდა ტურნირში პირველად მონაწილე გუნდი — „იბერნიენი“ (მალტა).

მატჩი მოიგო „სერვეტმა“—5:0.

* * *

ჰოლანდიის „ფეიერნოორდი“ შვეციაში შეხვდა ამ ქვეყნის ჩემპიონს — „ჰეტებორგს“. ჰოლანდიელებმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მიაღწიეს საგრძნობ უპირატესობას და 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. ეს ანგარიში „ფეიერნოორდმა“ შეინარჩუნა მატჩის ბოლომდე.

## საერთაშორისო ამბები

# რომ გათხოვილიყო

საწყლოსნო სპორტის მოყვარულებისათვის კარგად ცნობილია ჰოლანდიელი მოცურავის, მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენის მერი კოკის სახელი, რომელმაც უსახსრობის გამო თავი დაანება სამოყვარულო სპორტს და პროფესიონალებში გადავიდა.

# ოლიმპიური ჩემპიონი ნოკაუტში

არ გაგიკვირდეთ, მაგრამ ამ სურათს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მძლეოსნობასთან. და აი, რატომ: მოკრივე, რომელიც უიმედოდ გადაკიდებულა რინგის თოკზე, სულ რაღაც ერთი წლის წინათ მსოფლიოს საუკეთესო ბირთვისმკვრელი იყო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბილ ნიდერმა ბირთვის კვრას თავი დაანება და სპორტის ეს სახეობა გაცვალა პროფესიონალური კრივის ხელთათმანებზე. გამდიდრებასა და სენსაციების მოტრფიალე მენაჯერებმა წინადადება მისცეს ნიდერს პროფესიონალურ რინგზე გამოსულიყო. ნიდერმა მიიღო წინადადება, როგორღაც ხომ უნდა იშოვო რაიმე საარსებო წყარო. საქმოსნებმა ატეხეს სარეკლამო განგაში, ისინი ნიდერს მსოფლიო აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულსაც უწინასწარმეტყველებდნენ. დასაწყისისათვის საქმოსნებმა ნიდერთან შესახვედრად ნაკლებადცნობილი პროფესიონალი ჯიმ უილსი შეარჩიეს. მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონის იმედები დ ა ი მ ს ხ ვ რ ა. უილსის პირველივე დარტყმამ 120-კილოგრამიანი ვიგანტი მიწაზე დასცა, ნიდერი წამოდგა, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ მან უფრო ძლიერი დარტყმა მიიღო და ოლიმპიური ჩემპიონი გადასცდა რინგს, ხოლო შემდეგ კი მაყურებელთა თავებზე „დაესვენა“. ასე დამთავრდა ორთაბრძოლა.



რედაქტორი ი. უგულავა.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლა წარმოებასთან მოუწყვეტლად განაგრძობს მსმენელთა მიღებას. ის ხელფასიანი მწვრთნელები, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური ფიზკულტურული განათლება, ვალდებულნი არიან დაამთავრონ აღნიშნული სკოლის მთლიანი კურსი. წინააღმდეგ შემთხვევაში 1961 წ. 1 ოქტომბრიდან აეკრძალებათ მწვრთნელად მუშაობა. მწვრთნელთა სკოლა აწარმოებს აგრეთვე იმ პირების მიღებას, რომლებსაც სურთ მიიღონ სპეციალური საშუალო განათლება სპორტის ცალკეულ სახეობაში.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02660